



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ ჭ ო

გადაწყვეტილება № 07-01/51

ქ. ბათუმი

30 ნოემბერი, 2022 წ.

„ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში ცვლილების და დამატების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10 მუხლის, რექტორის მოადგილის, ანზორ ბერიძის სამსახურებრივი ბარათის (ME1374097, 28/10/2022წ.) და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის და სხდომის ოქმის (N07-02/09, 30.11.2022) ოქმის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/21 გადაწყვეტილებაში, კერძოდ კი, N1 დანართი (წესში) შევიდეს შემდეგი სახით ცვლილება და დამატება:

ა) წესის ფორმა N1 - „დაფინანსების განაცხადის“ ველები შეიცვალოს, ასევე დაემატოს სხვა ველები და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (წინამდებარე გადაწყვეტილების N1 დანართი);

ბ) მე-8 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბსუ-ს აკადემიური/სამეცნიერო თანამდებობის პირის მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების ინიციატივა დასაქმებულის ან ფაკულტეტის დეკანის/ინსტიტუტის დირექტორის მიერ წარედგინება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს. წარდგენილი ინიციატივის განხილვისათვის სავალდებულოა წარმოდგენილი იქნეს გამოქვეყნებული სტატია (ნაბეჭდი/ორიგინალი) და შესაბამისი ელექტრონული ბმული, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის მიერ დამოწმებული ინფორმაციის სახით (წინამდებარე წესზე თანდართული N2 ფორმის შესაბამისად).

გ) წესის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული N2 ფორმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (წინამდებარე გადაწყვეტილების N2 დანართი);

დ) მე-8 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. გასული კალენდარული წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სტატიისათვის/სტატიებისთვის დასაქმებულთა მიმართ წახალისების ღონისძიების გამოყენების თაობაზე ფაკულტეტის საბჭოს/სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილება (წინამდებარე წესის **N3 ფორმის** მიხედვით შედგენილ საბჭოს ოქმის დანართთან ერთად) ყოველი კალენდარული წლის **1 მარტამდე** წარედგინება ბსუ-ს რექტორს და ბსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული ამზადებს ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ სამართლებრივ აქტის პროექტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურის, ბსუ-ს რექტორის მოადგილის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ვიზირებით.“;

დ) წესის მე-8 მუხლის მე-8 პუნქტში აღნიშნული N3 ფორმა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (წინამდებარე გადაწყვეტილების N3 დანართი);

ე) მე-8 მუხლს დაემატოს მე-9 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თუკი გასულ წელს გამოქვეყნებული სტატია (გარდა ქართველოლოგიური მიმართულებისა) Scopus, Web of Science, ERIH PLUS სამეცნიერო ბაზაში აისახება **მიმდინარე წელს, 1 მარტის შემდეგ**, დასაშვებია დასაქმებულის განცხადების საფუძველზე განხილული იქნეს წახალისების ღონისძიების გამოყენების - ფულადი ჯილდოს გაცემის საკითხი, ამ მუხლით დადგენილი პროცედურების შესაბამისად. **გასულ წელს გამოქვეყნებული და სამეცნიერო ბაზებში მიმდინარე წლის 1 მარტის შემდეგ სტატის ასახვის შემთხვევაში** დასაქმებულის ფულადი დაჯილდოების აქტის გამოცემის შემდეგ, დაუშვებელია მომდევნო კალენდარულ წელს იმავე სტატიისათვის დასაქმებულის ფულადი დაჯილდოება.“.

2. წინამდებარე გადაწყვეტილება და კოდიფიცირებული „ბსუ-ს პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსებისა და სტატიის გამოქვეყნებისათვის წახალისების წესი“ გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ველში „იურიდიული ცნობარი“ (ველებში: წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებები“, „საუნივერსიტეტო ნორმატიული აქტები“).
3. გადაწყვეტილება დაეზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
4. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,

პროფესორი

ჯემალ კარალიძე